



საქართველო  
ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია



GEORGIA  
ZUGDIDI MUNICIPALITY CITY HALL

N 4842  
17/10/2018

ზუგდიდი

4842-02-4-201810171008



მერის ბრძანება

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში დასახლების  
საერთო კრების მოწვევის შესახებ


საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 15 თებერვლის N25 დადგენილების „ დასახლების საერთო კრების ტიპიური დებულების დამტკიცების შესახებ “ და საქართველოს კანონის „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ შესაბამისად

ვბრძანებ :

1. ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ ერთეულებში მოწვეულ იქნას დასახლების საერთო კრება, შესაბამის დასახლებაში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტში ასახვამდე განხილვის მიზნით .
2. დაევალოს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს უზრუნველყონ კრების მოწვევისათვის საჭირო ორგანიზაციული საკითხების უზრუნველყოფა და მოსახლეობისათვის განსახილველი პროექტების წარდგენა.
3. დაევალოს ადმინისტრაციული სამსახურის ინფორმაციული უზრუნველყოფისა და ადმინისტრაციული ერთეულების მუშაობის კორდინაციის განყოფილებას ადმინისტრაციულ ერთეულში მოსაწვევი კრებების კორდინაციის გაწევა.
4. აღნიშნული ბრძანება გამოქვეყნდეს მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე და საინფორმაციო დაფების საშუალებით.
5. ბრძანება ამოქმედდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 54-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად , გაცნობისთანავე.
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 180-ე მუხლის პირველი ნაწილის და „ ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსის “ 22-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად , გაცნობის  
დღიდან 1 თვის ვადაში ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში.

მაიზერ ნანავა



ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, მერის მოვალეობის შემსრულებელი